სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯი

2023-2024 სასწავლო წლის

სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

ავტორი: ნინო ძაგანია

ანგარიში მომზადდა - 12.11.2024

თბილისი 2024

სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის ძირითადი საგანმანათლებლო მიმართულებებია - სასპორტო პროგრამები და მასთან დაკავშირებული ისეთი დარგები, როგორებიცაა - მასაჟი, რეაბილიტაცია, რეპორტინგი. 2024 წელი საკმაოდ ნაყოფიერი იყო სპორტის კოლეჯისთვის. უნარების სააგენტოსთან მჭიდრო თანამშრომლობით მომზადდა პროფესიისა და პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტები - „სპორტის ინსტრუქტორობა“. აღნიშნული სტანდარტები დარეგისტრირდა 2024 წლის ივნისში. ამავე პერიოდში მოხდა მათი ასახვა სწავლის სფეროების კლასიფიკატორში.

2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის თანახმად კოლეჯში დაგეგმილი იყო შემდეგი ამოცანების განხორციელება:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სპორტის ინსტრუქტორის“ შემუშავება და დანერგვა.
2. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავება და დანერგვა/განხორციელება
3. ახალი პროგრამის ფარგლებში პრაქტიკის ობიექტებთან მემორანდუმებისა და ხელშეკრულებების გაფორმება;
4. პროგრამების შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესყიდვა/ განახლება თბილისსა და ქუთაისში
5. სასწავლო პროცესის მონიტორინგი
6. კოლეჯის მარეგულირებელი დოკუმენტების გადამოწმება და საჭირო ცვლილებების განხორციელება
7. მასწავლებლების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა
8. კომმპიუტერული კლასის ახალი კომპიუტერებით მომარაგება
9. კოლეჯის ვებ-გვერდის განახლება
10. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შევსება
11. 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმის შემუშავება

2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის პირველი პუნქტით გაწერილი ამოცანისა და აქტივობების განხორციელება კოლეჯმა 2024 წლის მაის/ივნისში დაიწყო, მას შემდეგ რაც სპორტული ინსტრუქტორის პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი დარეგისტრირდა. კოლეჯმა დაიწყო მზადება ავტორიზაციის პროცედურებისთვის. პირველ ეტაპზე შევარჩიეთ პროგრამის ხელმძღვანელი, მოხდა პროფესიული მასწავლებლების შერჩევა. ამის შემდეგ განხორციელდა პროგრამისა და მისი მოდულების ადაპტაცია. მომზადდა სხვადახსვა დოკუმენტი, მათ შორის სასწავლო გეგმა, ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ, განხორციელდა ბაზრის კვლევა, რათა დაგვედგინა პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობა, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან დაიდო წინარე შრომითი ხელშეკრულებები, მოწესრიგდა მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის პირადი საქმეები და სხვა.

„სპორტის ინსტრუქტორის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამამ ავტორიზაცია გაიარა როგორც თბილისში, ისე ქუთაისში. თუმცა ქუთაისის ლოკაციაზე ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა გარკვეული ტიპის ხარვეზები. ამის გამო საბჭოს გადაწყვეტილებით, ასევე, კოლეჯის მხრიდან შესაბამისობის გეგმის წარდგენის საფუძველზე, ქუთაისის ლოკაციაზე განისაზღვრა მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტი მიმდინარე წლის დეკემბერში. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ის ხარვეზები, რომელიც იყო დადგენილი ამ მომენტისთვის თითქმის აღმოფხვრილია. დამონტაჟებულია ლიფტი, პროგრამას ქუთაისის ლოკაციაზე ყავს დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი; ახალ ოთახში მოეწყო ბიბლიოთეკა. სასწავლო პროცესის კოორდინატორმა გაიარა ბიბლიოთეკარის კურსი და მიიღო შესაბამისი სერტიფიკატი. მარეგულირებელ დოკუმენტებში შევიდა შესაბამისი ცვლილებები. რაც შეეხება ლიფტის უსაფრთხოების დოკუმენტის მიღების პროცედურებს, ეს საკითხიც ბოლო ეტაპს გადის და ვიმედოვნებთ, რომ მონიტორინგის დაწყებამდე მოგვარებული იქნება.

2024 წლის სექტემბერში განათლების მინისტრის ბრძანებების საფუძველზე დაიწყო ახალ პროგრამაზე რეგისტრაციის პროცედურები. ამას მოყვა აპლიკანტთა შერჩევა. ჩატარდა სპორტული ტური და კოლეჯში დარეგისტრირებულმა აპლიკანტებმა ჩააბარეს გამოცდა ბიოლოგიაში. ცხრილში მოცემულია სტატისტიკური მონაცემები:

#		თბილისი	ქუთაისი		ჯამი
1	მისაღები ადგილების რაოდენობა	80	40		120
2	აპლიკანტები	117	86		203
3	სპორტული ტური გაიარა	80	60		140
4	ტესტირება გაიარა	76	58		134
5	რეიტინგული სია	78	60		138
6	სტუდენტი	76	40		116

ანგარიშის მომზადების მომენტისთვის, კოლეჯი ემზადება ახალ პროგრამაზე სასწავლო პროცესის დაწყებისთვის. განხორციელდა აპლიკანტების ჩარიცხვა და ემისის ბაზაში მათთვის სტატუსის შეცვლა, სტუდენტებთან მათი პირადი განცხადების საფუძველზე დაიდო ხელშეკრულებები.

ისე როგორც წინა წლებში 2023-2024 წელსაც ჩვენ გავაგრძელეთ პროფესიული მომზადებისა და პროფესული გადამზადების პროგრამებზე მუშაობა. კოლეჯში შემუშავდა და ავტორიზაცია გაიარა პროფესიული გადამზადების პროგრამამ „ადაპტიური ფიზიკური აღზრდის სპეციალისტი“:

2024 წელს უნარების სააგენტოს მიერ დაფინანსდა პროფესიული მომზადების 12 პროგრამა. ცხრა პროგრამა ქ. თბილისში და სამი ქ. ქუთაისში.

თბილისი:

1. თავისუფალი ჭიდაობის ინსტრუქტორი
2. კრივის ინსტრუქტორი
3. სპორტული მასაჟი
4. ცურვის ინსტრუქტორი
5. ფეხბურთის ინსტუქტორი
6. სპორტული აკრობატიკის ინსტრუქტორი
7. ძიუდოს ინსტრუქტორი
8. მძლეოსნობის ინსტრუქტორი
9. ძალოსნობის ინსტრუქტორი

ქუთაისი

1. თავისუფალი ჭიდაობის ინსტრუქტორი
2. სპორტული მასაჟი
3. ფეხბურთის ინსტუქტორი

პირველი სტრატეგიული მიზნის ფარგლებში გავწერე მონიტორინგის პროცესები, კერძოდ, შევქმენი მეცადინეობებზე დასწრების ცხრილი, ჩავატარეთ გამოკითხვები, განხორციელდა ვალიდაციის პროცედურები, თუმცა ვერიფიკაციის ჩატარება ამ დრომდე ვერ მოხერხდა. ჩემს გასამართლებლად შემიძლია მხოლოდ იმის თქმა, რომ ვინაიდან ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის პროგრამა უკვე დასრულებულია და კოლეჯი მომავალში (რეავტორიზაცია) არ გეგმავს ამ პროგრამის დამატებას, არ მივიჩნიე მიზანშეწონილად მასზე მუშაობა.

რაც შეეხება მეორე სტრატეგიულ მიზანს - პერსონალის გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება, ამ კუთხით ყველა დასახული ამოცანა შესრულებულია. დაიგეგმა და წარმატებით ჩატარდა რამდენიმე ტრენინგი, როგორც ადმინისტრაციის წარმომადგენლებისთვის, ასევე მასწავლებლებისთვის. კოლეჯის თანამშრომლები ასევე აქტიურად იყვნენ ჩართულები ხარისხის ცენტრის, პროფესიული უნარების სააგენტოს და განათლების სამინისტროს მიერ ორგანიზებულ ტრენინგებსა და სემინარებში. პირადად მივიღე მონაწილეობა უნარების სააგენტოს მიერ გამოცხადებულ კონკურსში, რომელიც ეხება საერთაშორისო სასწავლო ვიზიტებში მონაწილეობას. კოლეჯის პროფორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის მენეჯერი უახლოეს დღეებში ჩაერთვება დაბა ბაკურიანში დაგეგმილ ღონისძიებაში.

ჩვენს მიერ ასევე დაიგეგმა პროფესიული მასწავლებლებისთვის ონლაინ რეჟიმში სხვადასხვა ტრენინგის ჩატარება, მათ შორის, კალენდარული გეგმების შედგენის

თაობაზე და მასწავლებლებისთვის პროტფოლიოს შექმნის საჭიროებაზე. სწავლის შედეგების ინსტრუმენტების შექმნის შესახებ და სხვა.

სტრატეგიული მიზანი 3. დაგეგმილი სამშენებლო/სარემონტო სამუშაოები და ძირითადი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეძენა/განახლება. პროგრამების დამატების ფარგლებში ახალი წიგნებით შეივსო ბიბლიოთეკა. დაიდო ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტებთან. ქ. ქუთაისში დამონტაჟდა პანდუსები, გაგრილება/გათბობის სისტემები.

სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და მეცადინეობებზე დასწრების გრაფიკები. მუდმივად კონტროლდება კოლეჯის ვებ-გვერდი და სიხალეები მუდმივად და დროულად აისახება, რათა მოხდეს დაინტერესებული პირებისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

სტრატეგიული მიზანი 4. ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა; კოლეჯი გამუდმებით ზრუნავს საკუთარი ცნობადობის ამაღლებაზე. კოლეჯი აქტიურად მუშაობს იმისთვის, რომ პროფესიულ განათლებაში სულ უფრო მეტი ახალგაზრდა ჩაერთოს. კოლეჯის მასწავლებლები, რომელბიც ასევე არიან დარგის სპეციალისტები და მუშაობენ სხვადასხვა სპორტულ ფედერაციებში, უზრუნველყოფენ სტუდენტების მოზიდვას.